ოსტატები ზუსტად უნდა ურტყამდნენ კარში

მახარაძემ ზუსტად მიაწოდა ბურთი ღოღობერიძეს, რომელმაც ახლო მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. ასცდა. მალე მახარაძე თვითონ გაიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და თავის კაპიტანს მიჰბაძა…

თამაშის დაწყებიდან გავიდა სულ 10 წუთი. ღოღობერიძე, თოდრია და კ. გაგნიძე ხალსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ კარის წინ, მაგრამ მათ მიერ დარტყმული ბურთები უმისამართოდ სერავდა სივრცეს.

მე–11 წუთზე თოდრია სწრაფად შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, მიიღო გადაცემა, ძლიერად დაარტყა და… ბურთი "ცას ტყორცნა". რამდენიმე ხნის შემდეგ ღოღობერიძემ მარჯვენა ფრთიდან ზედ კარის წინ ჩააწოდა ბურთი. თოდრია დროზე გავიდა წინ, ბურთს ცარიელი კარიდან 2 მეტრის დაშორებით დახვდა, ძლიერად მოიქნია ფეხი და… ამჯერად ბურთს კი ვერ მოახვედრა.

მეორე ტაიმი. პირველივე წუთზე კ. გაგნიძე ჩვეული სპრინტერული რბენით წინ გაიჭრა და დაარტყა. სტუმრების მეკარე ტეჩკუსი არც განძრეულა – ბურთი 5–6 მეტრით აცდა კარს. წუთის მერე ტეჩკუსი კვლავ ხიფათის წინ აღმოჩნდა: მახარაძე გრძელი დრიბლინგით გავიდა და პირისპირ შერჩა მას. მეკარის შიში ამაო აღმოჩნდა – მახარაძემ ბურთი მას თავაზიანად "მიართვა" ხელებში.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ზედიზედ დაკარგეს ბურთის გატანის აშკარა შესაძლებლობა სიხარულიძემ, თოდრიამ, კ. გაგნიძემ, კალოევმა.

ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თბილისის "დინამოსა" და ვილნიუსის "სპარტაკის" შეხვედრაში თბილისელთა თავდამსხმელებმა განცვიფრებაში მოიყვანეს მაყურებლები. მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში, როცა თავდამსხმელს არავინ უშლიდა ხელს მოფიქრებულად, შეუცდომლად დაერტყა კარში, დინამოელებს არა თუ ვერ გაჰქონდათ გოლი, კარშიც ვერ ახვედრებდნენ.

რაღა შორს წავიდეთ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა, გამოცდილმა ფეხბურთელებმა ღოღობერიძემ და ანთაძემ 3–4 მეტრის მანძილზე სავსებით ცარიელი კარის წინ ხელშეუშლელად მიიღეს ბურთი და კარშიც ვერ მოახვედრეს. ამ სურათის შემყურე მაყურებლები სავსებით დაეთანხმნენ პატარა ბიჭუნას, რომელმაც ტრიბუნიდან უნებურად წამოიძახა: ამას ხომ მეც გავიტანდიო.

თამაშის პირველ ნახევარს ანგარიში არ მოუცია. მეორე ტაიმის დასაწყისში ვილნიუსელთა თავდამსხმელებმა პეიტრაიტისმა და დაუკშამ კარგად გაითამაშეს კომბინაცია, მარჯვენა გარემარბი რილისი მოულოდნელად გაიჭრა წინ, მიიღო გადაცემა და ასევე მოულოდნელად დაარტყა კარში. მარღანია მოუმზადებელი შეხვდა ბურთს და მშვიდად გააყოლა მას თვალი, სანამ იგი ბადეში არ გაეხვია. 1:0.

საპასუხო ბურთი თბილისელებმა 21–ე წუთზე გაიტანეს. სიხარულიძემ კარის წინ ჩააწოდა მაღალი ბურთი,. კალოევი, თოდრია, კ. გაგნიძე, მეკარე ტუჩკუსი და მცველი ლუდკიავიჩუსი ბურთიანად შეცვივდნენ კარში. გოლი თავით გაიტანა გაგნიძემ – 1:1. რამდენიმე წუთის შემდეგ ვარდიმიადმა, რომელმაც თოდრია შეცვალა, კარგად გადასცა ბურთი კალოევს. მანაც ტუჩკუსთან და მცველ ა. მაჩულისთან ბრძოლაში მეორე ბურთი გაიტანა.

თბილისის "დინამომ" დაამარცხა ვილნიუსის "სპარტაკი" ანგარიშით 2:1 და "ა" კლასის გათამაშების პირველ წრეში 15 ქულით დაიკავა პირველი ადგილი.

თბილისის "დინამოსა" და ვილნიუსის "სპარტაკის" დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 2:2.

რ. ქორიძე.

"ლელო", 24 ივნისი, 1953 წ.